

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია-მ ევროპულ სასამართლოში კიდევ ერთი საქმე მოიგო

ევროპული სასამართლო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე გულგრილი იყო დემონსტრანტებისათვის პატიმრობის შეფარდების დროს გამოერკვია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

2012 წლის 2 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე კაკაბაძე, ჩხარტიშვილი, ჯიმკარიანი, რთველიაშვილი და დალაქიშვილისაქართველოს წინააღმდეგ (საქმე #1484/07). სასამართლომ დაადგინა,

რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლების მიმართ დაარღვია კონვენციის მე-5 (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-11 (შევრებისა და მანიფესტაციის უფლება) და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლები (გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე), რადგან განმცხადებლების დაკავება მოხდა უკანონოდ, შევრების თავისუფლებაში უკანონო ჩარევით, ხოლო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე ხუთივე განმცხადებელს 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, რაც სასამართლოს აზრით, აშკარად გადამეტებული სასჯელი იყო.

განმცხადებლების ინტერესებს საია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) წარმოადგენდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების დაკავება და მათი 30 დღიანი პატიმრობა თვითნებურად, სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულებით განხორციელდება. გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კანონები, რომლის საფუძველზეც მოხდა განმცხადებლების დაკავება არ იყო საკმარისად განჭვრეტადი და განმცხადებლებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ, მოხდებოდა თუ არა მათი დაკავება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ებოში დემონსტრაციის მოწყობის გამო, მაშინ როდესაც, მოქმედი ნორმები სასამართლოს მანდატურებისათვის დაკავების ფუნქციის მინიჭებას სასამართლოს შენობის შიგნით ადგენდა (კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა).

კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო) დარღვევასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთპიროვნულად, განმცხადებლების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა და გადანყვეტილების მიღება წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს ყველაზე ელემენტარული პრინციპის სრულ უგულებელყოფას. თავმჯდომარის გადანყვეტილება მხოლოდ მანდატურების მიერ განმცხადებლებისათვის წარდგენილი ბრალის დამოწმება იყო და არ ყოფილა მიღებული საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლის შედეგად.

განმცხადებლების მიმართ ადგილი ჰქონდა შევრებისა და მანიფესტაციის კონვენციით დაცული უფლების დარღვევას (კონვენციის მე-11 მუხლი), რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაასაბუთეს მათთვის ამ უფლების შეზღუდვის საფუძველი და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ამასთან, გამოყენებული სანქცია - პატიმრობა იყო ზედმეტად მკაცრი სასჯელი.

ევროსასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე), რადგან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უზენაეს სასამართლოში დამოკიდებული იყო სასამართლოს დისკრეციაზე და შესაბამისად არ წარმოადგენდა ეფექტურ მექანიზმს.

ევროპულმა სასამართლომ თითოეულ განმცხადებელს მიაკუთვნა კომპენსაცია 6 000 ევროს ოდენობით მორალური ზიანისათვის; ასევე, სახელმწიფოს დააკისრა საქმეზე გაწეული სამართლებრივი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისათვის 5 957 ევროს გადახდა.